საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



# ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობა

## მონიტორინგის ანგარიში

ქუთაისი
2012

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტის – „ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში. ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ (OSGF) და ფონდ „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ (OSI) ფინანსური მხარდაჭერით.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

OPEN SOCIETY INSTITUTE

ავტორები: მაკა ცერცვაძე
ნინო ხუხუა

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ჩუგოშვილი
თამარ კორძაია
ნათია კაპანაძე

---

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
ტირაჟი: 50 ც.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

-------------------------------------------------------------------------------

*© 2012, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*

# შინაარსი


1. შესავალი ........ 4

    1.1. კვლევის სფერო ........ 4

    1.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ........ 4

2. მონიტორინგის განხორციელებისას შექმნილი სირთულეები და დაბრკოლებები ........ 5

3. საკანონმდებლო ბაზა (სამართლებრივი საფუძვლები) ........ 7

4. სასამართლო დავების მიმოხილვა ........ 9

5. ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები ........ 10

6. კერძო კომპანიები, როგორც "დამკვეთები", ნაცვლად სახელმწიფო ორგანოებისა ........ 13

7. დასკვნა ........ 14

8. დანართები ........ 16

# 1. შესავალი

## 1.1. კვლევის სფერო

ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის გადატანის შესახებ იდეა პირველად ქ.ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ 2009 წელს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გააჟღერა. აღნიშნულს მხარი საქართველოს პრეზიდენტმაც დაუჭირა და, მისივე ინიციატივით, საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის 24 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ (მუხლი 48.1), რომლის თანახმადაც, საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფლად, ქალაქ თბილისთან ერთად, განისაზღვრა ქალაქი ქუთაისი. სწორედ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, ყოველგვარი წინასწარი ფინანსური ხარჯთაღრიცხვისა და პროექტის გარეშე, გადაწყდა, რომ პარლამენტის შენობა ქუთაისში დიდების მემორიალის ადგილზე, ირაკლი აბაშიძის გამზირზე აშენდებოდა. მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოები 2009 წლის დეკემბერში დაიწყო.[1]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანია:

- ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობისათვის სამუშაოების შესყიდვის პროცესის კანონიერების შესწავლა;
- სახელმწიფო ფინანსების ეფექტური ხარჯვის კონტროლი;
- საზოგადოების ინფორმირება;
- გამოვლენილი კანონდარღვევების პრევენცია.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, გამოთხოვნილ იქნა ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოებიდან. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული მონიტორინგის შედეგების ძირითადი საფუძველია ადმინისტრაციული ორგანოებიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია.

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მშენებლობის პროცესების სამართლებრივ შეფასებას 2009 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრამდე პერიოდის განმავლობაში.

## 1.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

მონიტორინგის განსახორციელებლად საია და საიას ქუთაისის ფილიალი, საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით, შემდეგ ორგანოებს მიმართავდა: თვითმმართველი ქ.ქუთაისის საკრებულო და მერია, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო", აგრეთვე, „პარლამენტის საინფორმაციო ცენტრი".

სამწუხაროდ, გამოთხოვნილი ინფორმაციის მიღება მთელ რიგ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ინფორმაცია უმეტესად არ მოგვეწოდებოდა, ან მოგვეწოდებოდა არასრულად. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ნაწილი კი ამ დრომდე არ მიგვიღია. ადგილი ჰქონდა ასევე შემთხვევას, როდესაც განცხადებებზე, რომლებითაც სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციას ვითხოვდით, ყველა ადმინისტრაციულმა ორგანომ ერთი და იგივე პასუხი მოგვაწოდა. შესაბამისად, ინფორმაციის მიღების მიზნით, საიას თბილისისა და ქუთაისის ფილიალები იყენებდნენ როგორც ადმინისტრაციული საჩივრის, ისე სასამართლოს მეშვეობით ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის საშუალებებს.

საიას მიერ, მონიტორინგის განხორციელების ფარგლებში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე სულ გაიგზავნა 45 განცხადება სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოსა თუ კერძო კომპანიაში. ჩვენ მიერ გამოთხოვნილი თითოეული დოკუმენტი წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას და ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, მოეწოდებინა ისინი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადაში. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის ბოლომდე ხელმიუწვდომელი დარჩა ის ძირითადი ინფორმაცია (ხარჯთაღრიცხვა, პროექტი, სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტაცია, მიღება-ჩაბარების აქტები, შესრულების ანგარიშები), რომლის მეშვეობითაც მოვახდენდით ხარვეზების გამოვლენას და მიღებული შედეგის შედარებას წინასწარ დაგეგმილთან.

მონიტორინგის განხორციელების დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ ქ.ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობის შესახებ ინფორმაცია სრულიად დაფარული იყო. თუმცა, საიამ ვერ მოიპოვა დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც, გამოთხოვნილი ინფორმაცია ჩაითვლებოდა საიდუმლოდ.

---

[1] 2009 წლის 19 დეკემბერს, ქ.ქუთაისში. ი. აბაშიძის ქუჩაზე განხორციელდა „დიდების მემორიალის" დემონტაჟი. დემონტაჟის დროს დაიღუპა ორი ადამიანი.




აღსანიშნავია, რომ ქ.ქუთაისში 2010 წელს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა, რომელშიც პარლამენტის საინფორმაციო ცენტრიცაა განთავსებული. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №418 განკარგულებაში შესული ცვლილების თანახმად, გარკვეული რაოდენობის თანხა დაიხარჯა „პარლამენტის საინფორმაციო ინფობოქსის" სკვერის კეთილმოწყობისათვის. ქ.ქუთაისის მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსისა და ასევე საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული ცენტრის მეშვეობით საზოგადოებას შესაძლებლობა ექნებოდა, მიეღო ნებისმიერი ინფორმაცია ქ.ქუთაისში მშენებარე პარლამენტის შესახებ. თუმცა, საიას ქუთაისის ფილიალის არც წერილობით მიმართვის საფუძველზე და არც წარმომადგენლის პირადი ვიზიტის დროს საინფორმაციო ცენტრი ინფორმაციას არ გასცემდა, ხოლო მიზეზად შესაბამისი ოპერატორის არყოფნას ასახელებდნენ. ქ.ქუთაისის პარლამენტის საინფორმაციო ცენტრისათვის ცნობილია მხოლოდ ერთი ფაქტი, რომ **„საქართველოს პარლამენტის მშენებლობა 2012 წელს დასრულდება"**.



## 2. მონიტორინგის განხორციელებისას შექმნილი სირთულეები და დაბრკოლებები

მონიტორინგი, განსაკუთრებით კი მისი საწყისი ეტაპი, სირთულეებით გამოირჩეოდა. დიდწილად, აღნიშნული შეეხებოდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციის თავისუფლების რეალიზებას, რაც, საქართველოს კანონმდებლობით, შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.[2]

კანონმდებლობით, ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე, მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.[3]

[2] საქართველოს კონსტიტუცია, 24-ე მუხლი, მე-4 პუნქტი.

[3] საქართველოს კონსტიტუცია, 41-ე მუხლი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-10 მუხლი.

ინფორმაციის პირად, კომერციულ, პროფესიულ საიდუმლოებად მიკუთვნების შემთხვევები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით არის განსაზღვრული,[4] ხოლო რაც შეეხება ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნების საკითხს, იგი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით წესრიგდება.[5]

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოებად ჩაითვლება ინფორმაციის სახეობა, რომელიც შედგება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობებისგან თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია, ზიანი მიაყენოს საქართველოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის გასაიდუმლოება ხდება შესაბამისი დოკუმენტისათვის საიდუმლოების გრიფის მინიჭებით.[6]

საიდუმლო ინფორმაციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვის შედეგად, ნათელი ხდება, რომ ქ.ქუთაისში საქართველოს პარლამენტის ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობის შესახებ ინფორმაცია არ მიეკუთვნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ პირად, კომერციულ და პროფესიულ საიდუმლოებას. ამასთან, მსგავსი ტიპის მშენებლობების შესახებ ინფორმაცია არც „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონსა და არც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხაში არ გვხვდება.

შესაბამისად, ჩვენ მიერ გამოთხოვნილი თითოეული დოკუმენტი, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის თანახმად, საჯარო ინფორმაციას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციული ორგანოები არასრულად ან საერთოდ არ გვაწოდებდნენ ინფორმაციას, ანდა დაუსაბუთებლად გვამისამართებდნენ სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან, თუმცა, კონკრეტულად რომელთან, არ აზუსტებდნენ.

მაგალითად, თვითმმართველი ქ.ქუთაისის მერიას, საიას ქუთაისის ფილიალის 2010 წლის 19 ნოემბრის განცხადებაზე, რომლითაც ვითხოვდით ქ.ქუთაისში პარლამენტის მშენებლობის პროექტისა და მშენებლობის ნებართვის ასლებს,[7] რეაგირება საერთოდ არ მოუხდენია. შესაბამისად, ჩვენ მიერ 2010 წლის 10 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ იქნა სარჩელი ქმედების დავალების თაობაზე. სარჩელის წარდგენიდან ერთ კვირაში მოგვეწოდა წერილობითი პასუხი, რომ ქ.ქუთაისის მერიის აპარატში აღნიშნული ინფორმაცია არ მოიპოვებოდა.

როგორც შემდგომ გამოირკვა, არამარტო ქუთაისის მერიას არ გააჩნდა ინფორმაცია ქ.ქუთაისში პარლამენტის მშენებლობის შესახებ. საიას თბილისისა და ქუთაისის ფილიალების მიერ გაგზავნილ განცხადებებზე ანალოგიური შინაარსის პასუხები მივიღეთ (ან საერთოდ არ მიგვიღია): იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციიდან, ქ.ქუთაისის საკრებულოდან, საქართველოს მთავრობიდან, საქართველოს პარლამენტიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან. მიღებული პასუხების მიხედვით, ჩვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მათ არ გააჩნიათ და შეგვეძლო მიგვემართა სხვა უფლებამოსილი ორგანოებისათვის.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციას 10-ზე მეტი განცხადებით მიმართა. ყველა განცხადებაზე ადმინისტრაციამ ერთი და იგივე შინაარსის პასუხი მოგვაწოდა: „თქვენ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სხვა უფლებამოსილ ორგანოს". არადა, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის № 915; 2010 წლის 30 მარტის № 418; 2010 წლის 10 აგვისტოს №1047; 2011 წლის 22 თებერვლის №460 ; 2010 წლის 19 დეკემბრის №1615; 2010 წლის 23 ივნისის №829 განკარგულებების თანახმად, ამავე განკარგულებების შესრულების კონტროლი სწორედ იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს ევალებოდა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ასევე არ გვაწვდიდა ინფორმაციას იმის მიუხედავად, რომ საქართველოს პარლამენტის მშენებლობას უშუალოდ ის უწევს კოორდინაციას.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ* საიას ქუთაისის ფილიალის რამ-

---

[4] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თავი III, ინფორმაციის თავისუფლება, $27^1$, $27^2$ და $27^3$ მუხლები.

[5] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თავი III, ინფორმაციის თავისუფლება, $27^4$ მუხლი.

[6] „სახელმწიფო საიდუმლობის შესახებ" საქართველოს კანონი, თავი I I, ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევა, მე-7 და მე-8 მუხლები.

[7] „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტი.

დენიმე განცხადებაზე მოგვაწოდა ერთი წერილობითი პასუხი, რომლის თანახმადაც, სამინისტრო არ ფლობდა ინფორმაციას ქ.ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობის შესახებ.

*თვითმმართველი ქ.ქუთაისის საკრებულომ* საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას 2011 წლის 1 ივლისის განცხადებით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე პასუხი მიაწოდა არასრულად. შესაბამისად, საიამ 2011 წლის 7 სექტემბერს სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ქმედების განხორციელების დავალება.[8]

*შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“* [9] რეაგირება საერთოდ არ მოახდინა საიას ქუთაისის ფილიალის 2011 წლის 6 სექტემბრის განცხადებაზე, რომლითაც ვითხოვდით მთელ რიგ ინფორმაციას ქ.ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობის შესახებ. შესაბამისად, საიას ქუთაისის ფილიალმა 2011 წლის 20 ოქტომბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ქმედების განხორციელების დავალება.[10]

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომელსაც 2011 წლის 6 სექტემბრის განცხადებით მივმართეთ და მოვითხოვეთ ინფორმაცია 2010 და 2011 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" დაფინანსების თაობაზე, რეაგირება საერთოდ არ მოუხდენია. შედეგად, საიას ქუთაისის ფილიალმა 2011 წლის 24 ოქტომბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ქმედების განხორციელების დავალება.[11]

იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულმა – გუბერნატორმა საიას ქუთაისის ფილიალის 29 ნოემბრის განცხადების პასუხად გვირჩია, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მისაღებად მიგვემართა სხვა უფლებამოსილი ორგანოსათვის, თუმცა, ეს ორგანო არ დაუკონკრეტებია. შესაბამისად, საიას ქუთაისის ფილიალმა 2012 წლის 6 იანვარს სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ქმედების განხორციელების დავალება.

დღემდე გაუგებარია, თუ რომელი ორგანოებია პასუხისმგებელი ქ.ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობაზე და რა ნაწილში. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები გაურკვევლად გვამისამართებდნენ სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან, თუმცა, „უფლებამოსილი“ ორგანო დღემდე „უცნობია“.

აღსანიშნავია, რომ, საიას გარდა, საქართველოს პარლამენტის მშენებლობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მხრივ წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ მედიის თუ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რაც, მაგალითად, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ერთ-ერთი სტატიითაც დასტურდება: „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ (IDFI) ფარგლებში, ქუთაისში პარლამენტის შენობის მშენებლობის ხარჯებთან დაკავშირებით ინფორმაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ქუთაისის მერიისგან გამოითხოვა. თუმცა, ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობის ხარჯების შესახებ ინფორმაციას ოფიციალური სტრუქტურები არ გასცემენ.“[12]

ზემოთ ჩამოთვლილი დაბრკოლებების გამო, ფაქტობრივად შეუძლებელი ხდებოდა საფუძვლიანი მონიტორინგის განხორციელება, ვინაიდან, სრულყოფილი ინფორმაციის გარეშე, შეუძლებელია პრობლემების, კანონდარღვევების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

## 3. საკანონმდებლო ბაზა (სამართლებრივი საფუძვლები)

2009 წლის 24 სექტემბერს, საქართველოს კონსტიტუციას დაემატა შემდეგი შინაარსის 481-ე მუხლი:[13]

1. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქ.თბილისი და ქ.ქუთაისი. პარლამენტის პლენარული სხდომები იმართება მხოლოდ ქუთაისში.

2. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფლის დროებით შეცვლა, სხდომის ან სესიის მოწვევის მიზნით, დასაშვებია მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს.

კონსტიტუციის 48-ე მუხლი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას წარმოადგენდა, ქა-

---

[8] ვრცლად იხილეთ გვ. 13.

[9] საქართველოს მთავრობის 2011 წლის 22 თებერვლის №460 განკარგულებით, თვითმმართველი ქ.ქუთაისის მერიის მიერ საქართველოს პარლამენტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ნაცვლად ქ.ქუთაისის მერიისა, „დამკვეთად“ განისაზღვრა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“.

[10] ვრცლად იხილეთ გვ. 14.

[11] ვრცლად იხილეთ გვ. 13.

[12] http://www.interpressnews.ge/ge/regioni/189501-idfi-quthaisshi-parlamentis-msheneblobis-kharjebze-oficialuri-struqturebi-informacias-ar-gascemen.html

[13] შეტანილია ცვლილება საქართველოს 07/01/2011 №4985-რს კონსტიტუციის კანონით.

ლაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველი გახდა, თუმცა, საკმაოდ დიდ გაუგებრობასა და ბუნდოვანებას ბადებდა. ნიშნავდა ეს თუ არა საქართველოს პარლამენტის ორად გაყოფას საქართველოს ორ ქალაქს შორის? გამოდიოდა, რომ საქართველოში ერთდროულად ორი პარლამენტი იმოქმედებდა – ერთი ქ.თბილისში, ხოლო მეორე ქ.ქუთაისში.

თუმცა, 2011 წლის 1 ივლისს ამავე მუხლში შევიდა ცვლილება და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:[14]

1. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქალაქი ქუთაისი.

2. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფლის დროებით შეცვლა, სხდომის ან სესიის მოწვევის მიზნით, დასაშვებია მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აღნიშნულმა კონსტიტუციურმა ცვლილებამ საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ბედი. პარლამენტის ადგილსამყოფლად საბოლოოდ განისაზღვრა ქ. ქუთაისი.

შენიშვნაში, რომელიც თან ერთვის კონსტიტუციის 48.1 მუხლს, მითითებულია, რომ ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომდევნო საერთო საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღიდან.

მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტებია: საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №915 განკარგულება,[15] 2010 წლის 30 მარტის №418 განკარგულება,[16] 2010 წლის 10 აგვისტოს №1047 განკარგულება,[17] 2011 წლის 22 თებერვლის №460 განკარგულება, 2010 წლის 19 დეკემბრის №1015 განკარგულება,[18] 2010 წლის 23 ივნისის №829 განკარგულება.[19] აღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების თანახმად, ქ.ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობის პროცესში ძირითადად ჩართულნი არიან შემდეგი ორგანოები: თვითმმართველი ქ.ქუთაისის მერია, საკრებულო, იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო,[20] შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.



**2.სხდომათა დარბაზი ქ.თბილისში**



**3.სხდომათა დარბაზი ქ.ქუთაისში**

[14] შეტანილია ცვლილება საქართველოს 1/07/2011. №4985-რს კონსტიტუციური კანონით.

[15] 2009 წლის 9 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №915 განკარგულება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თვითმმართველი ქ.ქუთაისისათვის თანხის გამოყოფის შესახებ.

[16] 2010 წლის 30 მარტს საქართველოს მთავრობის №418 განკარგულება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების თაობაზე.

[17] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 აგვისტოს №1047 განკარგულება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თვითმმართველი ქ.ქუთაისისათვის თანხის გამოყოფის შესახებ.

[18] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 დეკემბრის №1615 განკარგულება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №418 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

[19] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 ივნისის №829 განკარგულება, "საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №418 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

[20] http://mrdi.gov.ge/?page=news1&lang=1&id=336

## 4. სასამართლო დავების მიმოხილვა

პროექტის ფარგლებში ინფორმაციების გამოთხოვნა მოხდა სხვადასხვა საჯარო თუ კერძო დაწესებულებებიდან, რათა საქართველოს პარლამენტის მშენებლობის პროცესთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოებას სრულყოფილი წარმოდგენა შექმნოდა. იმედი იმისა, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე იქნებოდა, მეტწილად გაგვიცრუვდა. არამცთუ ინფორმაციის მოწოდება არ ხდებოდა, არამედ ხისტად მიგვითითებდნენ, რომ მიგვემართა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსათვის, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის 1-ლი ნაწილის პირდაპირი დარღვევაა.

სასამართლოს გადაწყვეტილებები წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის მონიტორინგის განხორციელების პროცესში. ქვემოთ მიმოხილული ადმინისტრაციული საქმეები დაგარწმუნებთ ჩვენს სამართლიან მოთხოვნაში.

საანგარიშო პერიოდში შექმნილი სირთულეებისა და დაბრკოლებების გამო, ხშირად გვიწევდა ადმინისტრაციული დავების წარმოება საქართველოს საერთო სასამართლოებში.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის საფუძველზე, ჩვენ ვითხოვდით შემდეგი სახის საჯარო ინფორმაციებს:

- პარლამენტის მშენებლობის ნებართვისა და პროექტის ასლები;
- ქ.ქუთაისის 2009, 2010 და 2011 წლების ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტის მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხა ჩაირიცხა თუ არა საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან;
- გადმორიცხვის შემთხვევაში, ეს განხორციელდა მიზნობრივი თუ გამოთანაბრებითი ტრანსფერით;
- მიზნობრივი ტრანსფერის შემთხვევაში, გაფორმდა თუ არა დელეგირების ხელშეკრულება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და ფინანსთა სამინისტროს შორის;
- რის საფუძველზე მოხდა აღნიშნული თანხების გადმორიცხვა;
- მიწა, რომელზეც ხორციელდება პარლამენტის შენობის მშენებლობა, ვის საკუთრებას წარმოადგენდა – ადგილობრივი თვითმმართველობის თუ სახელმწიფოს;
- რა ეტაპზეა ამჟამად ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობა;
- რა რაოდენობის თანხაა ათვისებული შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ 2010 და 2011 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარლამენტის მშენებლობისთვის;
- როგორი ფორმით მოხდა მშენებარე კომპანიების შერჩევა, ტენდერის თუ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით;
- შერჩეულ კომპანიებთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების და ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების ასლები;
- თვითმმართველი ქ. ქუთაისის 2010 და 2011 წლის ბიუჯეტებიდან შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსათვის" თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- განახორციელა თუ არა იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულმა – გუბერნატორმა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №915, 2010 წლის 30 მარტის №418, 2010 წლის 23 ივნისის №829, 2010 წლის 10 აგვისტოს №1047 და 2011 წლის 22 თებერვლის №460 განკარგულებების შესრულების კონტროლი;
- განახორციელა თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანომ – ქ.ქუთაისის მერიამ საქართველოს პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებული საქმიანობების კონტროლი.

**1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის წინააღმდეგ, ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე.** კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ვითხოვდით წერილობითი პასუხის მოწოდებას. აღნიშნული სარჩელი, შეტანიდან 1 კვირაში, უკან გამოვიხმეთ, რადგან თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ საიას ქუთაისის ფილიალს წერილობით ეცნობა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია თვითმმართველ ქალაქ ქუთაისის მერიის აპარატში არ მოიპოვებოდა, რაც, ფაქტობრივად, დავის საგნის არარსებობის საფუძველი გახდა.

**2. საქმე №3/393-2011 – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე, ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წინააღმდეგ, ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე.** ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით, საქმის განხილვა შეწყდა დავის საგნის არარსებობის გამო. განჩინება კერძო საჩივრით საიას მიერ გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

**3. საქმე №3/7782-11 – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ, ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე.** საქმე თბილისის სასამართლოში განხილვის პროცესშია.

**4. საქმე №3/7736-11 – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" წინააღმდეგ, ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე.** საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში განხილვის პროცესშია.

**5. საქმე №3/4 – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე, იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციის წინააღმდეგ, ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე.** სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ზემოთ ჩამოთვლილი გამოთხოვნილი ინფორმაციებიდან, საიას ქუთაისის ფილიალისთვის სასამართლო პროცესზე ცნობილი გახდა, რომ:

მიწის ნაკვეთი, რომელზეც ხორციელდება პარლამენტის მშენებლობა, არ წარმოადგენს ქ.ქუთაისის საკუთრებას. 2011 წლიდან შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო" ახორციელებს სამუშაოების დაფინანსებას, თუმცა, ის არანაირ ინფორმაცია არ გასცემს იმ საფუძვლით, რომ მასზე, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირზე, არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის მოთხოვნები. ქ.ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა არ გააჩნიათ და, საერთოდ, მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ ქ.ქუთაისის როგორც ალმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, ასევე, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია, რომელსაც, საქართველოს მთავრობის განკარგულებებით, პირდაპირ ევალება მშენებლობაზე კონტროლის განხორციელება. ხოლო სხვა დანარჩენ კითხვებზე პასუხები დღემდე მიუღებელია, რაც გვაძლევს ლეგიტიმური დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ საქართველოს პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებული პროცესები გასაიდუმლოებულია.

მოგეხსენებათ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოთხოვნა ვრცელდება ყველა ადმინისტრაციულ ორგანოსა თუ სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებულ საჯარო დაწესებულებებზე. ყველა საჯარო ინფორმაცია, რომელიც საიას ქუთაისის ფილიალის მიერ იყო გამოთხოვნილი პროექტის – „ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა საქართველოში" – ფარგლებში, არასრულად ან საერთოდ იქნა მოწოდებული, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ ან უშუალო ზიანს აყენებდა საიას ქუთაისის ფილიალის კანონიერ უფლებასა და ინტერესს.

საჯარო ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვა და ხელმიუწვდომლობა ხდებოდა სარჩელების მომზადების საფუძველი. აღსანიშნავია, რომ არცერთი სარჩელი, რომელიც პროექტის ფარგლებში მომზადდა, არ დაკმაყოფილებულა. შესაბამისად, ჩამოყალიბდა მანკიერი პრაქტიკა – მსგავს ადმინისტრაციულ დავაზე სასამართლოს გამოაქვს მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება „დავის საგნის არარსებობის გამო საქმის განხილვის შეწყვეტის თაობაზე", რაც ეჭვქვეშ აყენებს ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობას.




## 5. ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები

იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად (რომელიც მალევე აიღეს საიტიდან), ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მომავალი შენობის პროექტს საერთაშორისო ფონდები, ქუთაისიდან და იმერეთის რეგიონიდან წასული ბიზნესმენები, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტები დააფინანსებდნენ.[21]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, წინამდებარე მონიტორინგის განხორციელებისას,

[21] www.imereti.ge

მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებს ეყრდნობოდა (სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებს), რომელთა ანალიზისა და დამუშავების შედეგად შემდეგი სურათი მივიღეთ:

2009 წლის კონსტიტუციური ცვლილების შემდეგ გაჩნდა ლოგიკური ვარაუდი, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნებოდა თანხები ქ.ქუთაისში საქართველოს პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობისთვის, მაგრამ, ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტისა, გადაწყდა, რომ სახელმწიფოს მიერ ტრანსფერის სახით გამოყოფილი თანხა ქ.ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის გავლით დაიხარჯებოდა.

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის 2009 წლის ბიუჯეტში, კოდით 31021431, ქალაქ ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, საამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების სამუშაოებისათვის გათვალისწინებულ იქნა 5,000,000 ლარი.

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ქალაქ ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების სამუშაოებისათვის დაფინანსების გეგმა შეადგენს 5,000,000 ლარს. აღებულ იქნა ვალდებულება თანხით 200,000 ლარი; საკასო შესრულება შეადგენს 200,000 ლარს; აღებულ ვალდებულებასთან შეფარდებით, დაფინანსება განხორციელდა 100%-ით.[22]

**ქ.ქუთაისის ბიუჯეტიდან ქალაქ ქუთაისის პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების სამუშაოები**

**(2009, 2010, 2011 წლებში)**




თვითმმართველი ქ.ქუთაისის 2010 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო პროგრამა, კოდით 0519, ქალაქ ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების სამუშაოები, რაც მთლიანად არაფინანსური აქტივების ზრდაში, ანუ კაპიტალურ ხარჯებში გატარდა.

საბიუჯეტო წლის დასრულებამდე რამდენჯერმე შევიდა ცვლილება ქ.ქუთაისის ადგილობრივ ბიუჯეტში და საქართველოს პარლამენტის მშენებლობისათვის გამოყოფილმა თანხამ წლის ბოლომდე 73,575,300 ლარს მიაღწია.

თვითმმართველი ქ.ქუთაისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის თანახმად, ქალაქ ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის შენობის დაპროექტებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების გეგმა შეადგენს 73,575,300 ლარს; აღებულ იქნა ვალდებულება 68,426,800 ლარის ოდენობით; საკასო შესრულება შეადგენს 68,426,800 ლარს; გეგმასთან შეფარდებით, დაფინანსება განხორციელდა 93%-ით, ხოლო ვალდებულებასთან – 100%-ით.[23]

[22] თვითმმართველი ქ.ქუთაისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მონაცემი.

[23] თვითმმართველი ქ.ქუთაისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მონაცემი.

**ქ.ქუთაისის ბიუჯეტიდან ქალაქ ქუთაისის პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების სამუშაოების დაფინანსება 2010 წელს**




2011 წელს არც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტსა და არც თვითმმართველი ქ.ქუთაისის ადგილობრივ ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტის მშენებლობისათვის თანხა არ გამოყოფილა. თუმცა, თვითმმართველი ქ.ქუთაისის 2011 წლის ბიუჯეტში ნაშთის სახით 2010 წლის ბიუჯეტიდან გადმოვიდა 5,148,500 ლარი, კოდით 0531, რომლითაც განისაზღვრა ქ.ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, მშენებლობის, ექსპერტიზისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის შენობის დაპროექტებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. [24]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალისათვის უცნობია, თუ რა რაოდენობის თანხა გადმოირიცხა ოფიციალურად ტრანსფერების სახით ქ.ქუთაისის ადგილობრივ ბიუჯეტში 2009-2011 წლებში და გაფორმდა თუ არა დელეგირების ხელშეკრულება ფინანსთა სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის. თუმცა, საქართველოს მთავრობის ჩვენს ხელთ არსებული განკარგულებების საფუძველზე ირკვევა, რომ: საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №915 განკარგულების 1-ლი პუნქტის თანახმად, ქ.ქუთაისში საქართველოს პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების ჩატარების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, თვითმმართველი ქ.ქუთაისის მერიას გამოუყო 5,000,000 ლარი.[25]

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №418 განკარგულების თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ქ.ქუთაისში საქართველოს პარლამენტის შენობის დაპროექტების, მშენებლობის, ექსპერტიზისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების დასაფინანსებლად თვითმმართველ ქალაქ ქუთაისს გამოუყო 10,000,000 ლარი.[26]

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 აგვისტოს №1047 განკარგულების თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ქ.ქუთაისში საქართველოს პარლამენტის შენობის დაპროექტების, მშენებლობის, ექსპერტიზისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების დასაფინანსებლად თვითმმართველ ქალაქ ქუთაისს გამოუყო 11,000,000 ევრო.[27]

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 ივნისის №829 განკარგულების თანახმად, საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა პროექტის დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალ-

[24] თვითმმართველი ქ.ქუთაისის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მონაცემი.

[25] საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №915 განკარგულება.

[26] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №418 განკარგულება.

[27] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 აგვისტოს №1047 განკარგულება.

ისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ქ.ქუთაისში პარლამენტის შენობის დაპროექტების, მშენებლობის, ექსპერტიზისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების დასაფინანსებლად თვითმმართველ ქ.ქუთაისს გამოუყო 20,000,000 ლარი.[28]

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №418 განკარგულებაში შესული ცვლილების თანახმად, საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა პროექტის დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ქ.ქუთაისში პარლამენტის შენობის დაპროექტების, მშენებლობის, პარლამენტის მშენებლობის ინფობოქსის სკვერის კეთილმოწყობის, საქართველოს მთავრობის შენობის დაპროექტების და სხვა გადაუდებელი სამუშაოების დასაფინანსებლად თვითმმართველ ქალაქ ქუთაისს გამოუყო 42,000,000 ლარი. [29]

მთლიანობაში საქართველოს პარლამენტის მშენებლობისათვის გამოიყო შემდეგი ოდენობის თანხა:

2009 წელი — 200,000 ლარი

2010 წელი — 68,426,800 ლარი

2011 წელი — 5,148,500 ლარი

## 6. კერძო კომპანიები, როგორც „დამკვეთები", ნაცვლად სახელმწიფო ორგანოებისა

საქართველოს პარლამენტის მშენებლობისათვის არ არის ნათლად გაწერილი სახელმწიფოს ცენტრალური ან/და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან თანხების გამოყოფა. გამოიცა სამართლებრივი აქტები, რომელთა თანახმად, სახელმწიფო ორგანოებს კერძო კომპანიები ჩაენაცვლა.

2011 წლის 22 თებერვალს საქართველოს მთავრობამ გამოსცა №460 განკარგულება შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №915 განკარგულების საფუძველზე, თვითმმართველი ქ.ქუთაისის მერიის მიერ საქართველოს პარლამენტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო" უზრუნველყოფს სამუშაოების დაფინანსებას.

განკარგულების მე-3 პუნქტის თანახმად, მოწონებულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინადადება და წინამდებარე განკარგულების 1-ლ და მე-2 პუნქტში მითითებულ ხელშეკრულებებში თვითმმართველი ქ.ქუთაისის მერიის ნაცვლად „დამკვეთად" განისაზღვროს შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო".

დემოკრატიულ სახელმწიფოში, ისეთი მნიშვნელოვანი სახელისუფლო რგოლის მშენებლობა და სხვა ქალაქში გადატანა, როგორიცაა „საქართველოს პარლამენტი", ყოველთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის. შესაბამისად, ყველა მიმდინარე პროცესი, რაც კი პარლამენტის მშენებლობის ფარგლებში განხორციელდება, უნდა იყოს საჯარო, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

თუმცა, ზემოთ ხსენებული სამართლებრივი აქტით (2011 წლის 22 თებერვალს საქართველოს მთავრობამ გამოსცა №460 განკარგულება), ნათელი ხდება, რომ, საქართველოს პარლამენტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო" უზრუნველყოფს სამუშაოთა დაფინანსებას და, თვითმმართველი ქ.ქუთაისის მერიის ნაცვლად, „დამკვეთად" განისაზღვრა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო".

აღნიშნული ცვლილებით იკვეთება, რომ ისეთი მნიშვნელობის სახელმწიფო ობიექტის, როგორიც საქართველოს პარლამენტია, მშენებლობის კერძო კომპანიისათვის გადაბარება არსებითად ზრდის კანონდარღვევის, გაუმჭვირვალობის და არაანგარიშვალდებულების შესაძლებლობას.

ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის მშენებლობის პროცესში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ უნდა იყოს გამჭვირვალე და საჯარო.

მოგეხსენებათ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს სახელმწიფო შესყიდვების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს. ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სახელმწიფო შესყიდვებისა. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ა" პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა

[28] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 ივნისის №829 განკარგულება.

[29] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №418 განკარგულება.

ეს არის დადგენილ შემთხვევებში, ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით.

შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმორიცხული თანხებით. სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით, ლოგიკურია, რომ ინფორმაცია შესყიდვების შესახებ უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი.

ასევე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს: სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა, სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობა, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

საიას ქუთაისის ფილიალმა განცხადებით მიმართა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" და მოითხოვა ინფორმაცია მის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ, კანონის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება ვრცელდება არამარტო საჯარო დაწესებულებებზე, არამედ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზეც, თუ ისინი ასრულებენ სახელმწიფო უფლებამოსილებას ან ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ" მიზანშეწონილად არ ჩათვალა, ჩვენთვის პასუხი მოეწოდებინა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ კატეგორიულად მიუღებელია შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მხრიდან საქართველოს პარლამენტის მშენებლობის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოება, მაშინ როცა აღნიშნული ობიექტის მშენებლობა მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონეა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 73,775,300 ლარი დაიხარჯა.

## 7.დასკვნა

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მშენებლობის პროცესების სამართლებრივ შეფასებას 2009 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრის პერიოდის ჩათვლით. ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ოფიციალურად გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მოუწოდებლობით, გამოიკვეთა, რომ პარლამენტის მშენებლობის შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოებული და ხელმიუწვდომელია, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად არ არსებობს სამართლებრივი დოკუმენტი, რომლითაც ის ჩაითვლება საიდუმლო ინფორმაციად.[30]

თანხა, რომელიც გამოყოფილია საქართველოს პარლამენტის მშენებლობისათვის, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის 2009-2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტების გავლით იხარჯება. საგულისხმოა, რომ, საქართველოს მთავრობის განკარგულებების თანახმად,[31] 2009-2010 წლებში თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია იყო „დამკვეთი". აღნიშნულ საკითხზე აპელირებდა ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი თავის 2010 წლის ერთ-ერთ კვლევაში.

„თუ თვითმმართველი ქ.ქუთაისის მერია თავის პარლამენტს არ აშენებს და საუბარი საქართველოს პარლამენტის შენობაზეა, გაუგებარია, რა კომპეტენციის ფარგლებში უნდა მოახდინოს მან მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. ეკონომიკური კლასიფიკატორი ითვალისწინებს შენობის მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლას შენობის ღირებულებაში, მაგრამ თუ საქართველოს პარლამენტის შენობას ქუთაისის თვითმმართველობა არააშენებს, გამოყოფილი თანხა მის კაპიტალიზაციაში ვერაფრით მოხვდება. ხოლო თუ ააშენებს, ჩნდება კითხვა, რა ფორმით გადასცემს ქუთაისი საქართველოს პარლამენტს, როგორც ხელისუფლების სხვა დონის დამოუკიდებელ მხარჯველ სუბიექტს, ამ შენობას ექსპლუატაციაში."[32]

2011 წლის 22 თებერვლის საქართველოს მთავრობის №460 განკარგულების (შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ) საფუძველზე, ქ.ქუთაისის მერია ჩაანაცვლა კერძო კომპანიამ – შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ". ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაუმჭვირვალე და ბუნდოვანი გახადა საქართველოს პარლამენტის მშენებლობა.

---

[30] სახელმწიფო, კომერციულ, პირად და პროფესიულ საიდუმლო ინფორმაციად (ზაკ-ის მე-3 თავი, ინფორმაციის თავისუფლება).

[31] საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №915; 2010 წლის 30 მარტის №418; 2010 წლის 10 აგვისტოს №1047; 2010 წლის 19 დეკემბრის №1615; 2010 წლის 23 ივნისის №829; 2011 წლის 22 თებერვლის №460 განკარგულებები.

[32] მომზადებულია ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრის მიერ, პროექტის „საქართველოს თვითმმართველი ქალაქების 2010 წლის ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა მონიტორინგის გზით " ფარგლებში. 2010 წელი.

კვლევის პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ არაერთგზის მიმართა უფლებამოსილ ორგანოებს. ოფიციალური პასუხებიდან გამოირკვა, რომ მათთვის არამცთუ ცნობილია საქართველოს პარლამენტის მშენებლობის პროექტის, ხარჯთაღრიცხვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, არამედ მათ ბაზაში საერთოდ არ მოიპოვება ინფორმაცია და არც ზედამხედველობას ახორციელებენ.[33] შესაბამისად, ძირითადი დაბრკოლებები, რომლებიც მონიტორინგის პროცესის მიმდინარეობისას გვხვდებოდა, იყო:

- საჯარო ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობა – თითქმის ყველა სახელმწიფო თუ კერძო ორგანო გვპასუხობდა, რომ მათთან განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია არ მოიპოვებოდა, სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ცალსახად უგულებელყოფდნენ ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთი სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე მშენებლობას, როგორიც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა და რომლის მშენებლობაზეც სახელმწიფო და ქ.ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ჯამში 73,775,300 ლარი დაიხარჯა;
- დაუსაბუთებლად გადამისამართება სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით – განცხადების პასუხად მიგვითითებდნენ, რომ მიგვემართა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსათვის, რაც, თავის მხრივ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევაა;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ვადის დარღვევა – ხშირად ირღვეოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ინფორმაციის გაცემის 10 დღიანი ვადა;
- სასამართლოს პოზიცია – სასამართლო დავების განხილვის ნაწილში ნათლად ჩანს, რომ ყველა ადმინისტრაციულ დავაზე სასამართლო წყვეტს საქმის განხილვას დავის საგნის არარსებობის გამო;
- გაუმჭვირვალობა – 73,775,300 ლარი განიკარგა აბსოლუტურად ბუნდოვნად და, შესაძლოა, კორუფციულად, რადგან სრულიად გაუმჭვირვალე პროცესი იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების ლეგიტიმურ საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოს პარლამენტის მშენებლობის პროცესი გაუმჭვირვალედ და სამართლებრივი ნორმების დაუცველად მიმდინარეობს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილი შეფასებები გაზიარებული იქნება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, ხოლო, თავის მხრივ, დაეხმარება სამოქალაქო საზოგადოებას, მიიღოს უფრო მეტი ინფორმაცია და მსჯელობის საგნად აქციოს სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობა და სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობა.



[33] იხილეთ დანართი №5.

# დანართები

დანართი1.

## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

16 დეკემბერი 2009 წელი ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო "სახელმწიფო შეყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 09 დეკემბრის №915 განკარგულების საფუძველზე.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის პირველი მოადგილის, მერის მოვალეობის შემსრულებლის ზაზა ნუცუბიძის სახით (მისამართი: 4600, ქქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ.№3, ს/კ 212721170 ტელ: 4-54-54) (შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ *შპს„საქმილსადენმშენი", მისი დირექტორის ავთანდილ ლომთაძის სახით,(მისამართი: ქჭყალტუბო, ქუთაისის ქუჩა №4, ბინა №2 ს/კ 221 267 064, ტელ: 899-51-15-31, ს/ს„თი ბი სი ბანკის" ქუთაისის ფილიალი, ბანკის კოდი №220101888, ა/ანგარიში № 304 67 042*
შემდეგში „მიმწოდებელი"

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე დიდების მემორიალის დემონტაჟის, შესაბამისი სამუშაოებისა და მიღებული ნარჩენების გატანის უზრუნველყოფის (50 კმ.-ს ფარგლებში) განხორციელება (თანდართული წინადადების შესაბამისად), რომლის სავარაუდო ღირებულებაა 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი.

### 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის" მხრიდან თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური "მიმწოდებლის" მიერ შესასრულებელ, ან უკვე შესრულებულ სამუშაოზე კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს პერიოდულად, თანახმად საქართველოში მოქმედი ნორმების, სტანდარტებისა და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში გააჩნია უფლება შეაჩეროს მომსახურება.

"შემსყიდველი" ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. სამუშაოს შესრულების პროცესში მიმწოდებელი და შემსყიდველი საჭიროების შემთხვევაში განიხილავენ მომსახურების გაწევის ვადებში ცვლილებების შეტანის საკითხს.

### 3 გარანტია

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შეასრულებს სამუშაოს მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

16 დეკემბერი 2009 წელი ქ.ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო "სახელმწიფო შეყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 09 დეკემბრის №915 განკარგულების საფუძველზე.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის პირველი მოადგილის, მერის მოვალეობის შემსრულებლის ზაზა ნუცუბიძის სახით (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ.№3, ს/კ 212721170 ტელ: 4-54-54) (შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ *შპს„ტუღვი", მისი დირექტორის ვლადიმერ ოჩარენკოს სახით,(მისამართი: ქ.ბათუმი ვაჟა-ფშაველას ქუჩა №7, ბინა №2 ს/კ 245 537 085, ტელ: 893-37-30-58, ს/ს„თი ბი სი ბანკის" ბათუმის სერვისცენტრი №8 ბანკის კოდი №220101819, ა/ანგარიში №23 436 080 100 005*
შემდეგში „მიმწოდებელი"

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის (ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე, დიდების მემორიალის მიმდებარე ტერიტორია) საინჟინრო გეოლოგიური კვლევის განხორციელება, რომლის სავარაუდო ღირებულებაა 171 907.12 (ასსამოცდათერთმეტი ათას ცხრაას შვიდი და თორმეტი) ლარი.

## 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის" მხრიდან თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური "მიმწოდებლის" მიერ შესასრულებელ, ან უკვე შესრულებულ სამუშაოზე კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს პერიოდულად, თანახმად საქართველოში მოქმედი ნორმების, სტანდარტებისა და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში გააჩნია უფლება შეაჩეროს მომსახურება.

"შემსყიდველი" ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. სამუშაოს შესრულების პროცესში მიმწოდებელი და შემსყიდველი საჭიროების შემთხვევაში განიხილავენ მომსახურების გაწევის ვადებში ცვლილებების შეტანის საკითხს.

## 3 გარანტია

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შეასრულებს სამუშაოს მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

ზემოდაღნიშნული ორივე ხელშეკრულება, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრია № 915 განკარგულების საფუძველზე დაიდო და ჟურნალისტმა მაია მეცხვარიშვილმა ქ.ქუთაისის მერიისაგან, ოფიციალური განცხადების საფუძველზე მოიპოვა. თუმცა არცერთ მათგანს თან არ ახლავს მხარეთა თანხმობის დამადასტურებელი ხელმოწერები და არ არის დამოწმებული ბეჭდით.



5.დიდების მემორიალი



6. დიდების მემორიალის დემონტაჟი



7. დიდების მემორიალის აფეთქება

# დანართი2.

საქართველოს მთავრობის
განკარგულება
№915 2009 წლის 9 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თვითმმართველი ქალაქი ქუთაისისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. ქ. ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, [illegible] და გეოლოგიური კვლევების ხარჯების [illegible] მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თვითმმართველ ქალაქ ქუთაისის მერიას გამოუყოს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ც" ქვეპუნქტის შესაბამისად სამუშაოების [illegible]

[illegible] და ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს [illegible] და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

პრემიერ-მინისტრი [illegible] გილაური

საქართველოს მთავრობის
განკარგულება
№460 2011 წლის 22 თებერვალი ქ. თბილისი

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №193 განკარგულების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოს მთავრობის სახლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, რის ფარგლებშიც შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო" უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების დაფინანსებას.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №915 და 2010 წლის 30 მარტის №418 განკარგულებების საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის მერიის მიერ საქართველოს პარლამენტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო" უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების დაფინანსებას.

3. მოწონებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინადადება და წინამდებარე განკარგულების პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებულ ხელშეკრულებებში თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის მერიის ნაცვლად „დამკვეთად" განისაზღვროს შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო".

4. შესრულებული სამუშაოების ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა განისაზღვროს ნსსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, ხოლო შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარება განახორციელოს ქ. ქუთაისის მერიამ.

5. განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სახელმწიფო რწმუნებულმა – გუბერნატორმა იმერეთის მხარეში.

პრემიერ-მინისტრი [illegible] გილაური

**საქართველოს მთავრობის**

**განკარგულება**

№[illegible] 2010 წლის 30 [illegible] ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების თაობაზე

1. საქართველოს რეგიონებში [illegible] პროექტების დაფინანსების მიზნით საქართველოს [illegible] „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის [illegible] მუხლის მე-2 პუნქტით [illegible] საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების [illegible] 19 960 500 ([illegible]) ლარი, მათ შორის:

ა) [illegible]

2

ბ) [illegible]

გ) [illegible] 3 000 000 (სამი მილიონი) ლარი;

დ) [illegible] 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი [illegible] 60 000 ([illegible]) ლარი;

ე) [illegible] 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი;

ვ) [illegible] 1 700 000 ([illegible]) ლარი;

3

ზ) [illegible] 200 000 ([illegible]) ლარი.

2. საქართველოს [illegible] „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით [illegible] საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების [illegible] 5 027 660 ([illegible]) [illegible] №1-№7 დანართების შესაბამისად.

3. საქართველოს [illegible] „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით [illegible] საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების [illegible] 1 500 000 ([illegible]) ლარი №8 დანართის შესაბამისად.

4. [illegible] 2010 წლის [illegible]

[illegible] 1 500 000 [illegible]

5. [illegible]

6. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის [illegible]

7. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 [illegible] №40 [illegible] 2010 წლის [illegible]

8. განკარგულების შესრულების [illegible] კონტროლის [illegible] განხორციელება [illegible] გუბერნატორებმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, საქართველოს [illegible], ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და საქართველოს [illegible] სამინისტრომ.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური

---

**საქართველოს მთავრობის**

**განკარგულება**

№1047 2010 წლის 10 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან [illegible] თანხის გამოყოფის შესახებ

1. ქ. ქუთაისში [illegible] შენობის [illegible], [illegible] და სხვა [illegible] საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან [illegible] გამოუყოს 11 050 000 ([illegible]) ლარი.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, [illegible] განხორციელდეს [illegible] საშუალებით.

21422

№127

3. [illegible] საქართველოს [illegible] განსახორციელებელი [illegible] საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის [illegible].

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური

# საქართველოს მთავრობის

# განკარგულება

№ [illegible] 2010 წლის [illegible] ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის [illegible] მუხლის შესაბამისად „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №418 განკარგულებაში [illegible]

1. [illegible]

[illegible]

[illegible] 31 ?00 000 [illegible] ლარი, მათ შორის:

ა) [illegible] 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარი;

ბ) [illegible] 3 000 000 (სამი მილიონი) ლარი;

გ) [illegible] 3 000 000 (სამი მილიონი) ლარი;

დ) [illegible] 2 000 000 [illegible] 60 000 [illegible] ლარი;

ე) [illegible] 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი;

ვ) [illegible] 200 000 [illegible] ლარი;

ზ) [illegible] 200 000 [illegible] ლარი."

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური

დანართი#3



*B10135557*

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B10135557**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 25 ოქტ 2010 16:31:21
განცხადების ნომერი: 146645
განცხადების მიღების დრო: 25 ოქტ 2010 16:30:41

## განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (განმცხადებელი: დავით კაკაურიძე /01009004035/), რომლითაც მოთხოვნილია ახალი სუბიექტის რეგისტრაცია

მომსახურება: განცხადების შეტანის დღეს საფასურის გარეშე

---

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო SMS–ის საშუალებით. სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა. ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ტელეფონზე **251527** ან საინფორმაციო ცენტრში **09**. ინფორმაციის მიღება შეიძლება აგრეთვე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ გვერდზე: **www.reestri.gov.ge**

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: **251527**; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ან "ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერის მიღება შეგიძლიათ "ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალსა და სერვის-ცენტრში.

სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან ნებისმიერი სახის უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში დაუკავშირდით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურს ტელეფონის ნომერზე **8800282828**

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

| | |
|---|---|
| განაცხადის ნომერი: | 284386 |
| განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: | B11057955 |
| ამონაწერის მომზადების თარიღი: | 12/04/2011 14:39:18 |

**სუბიექტი**

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | შპს სახელმწიფო მომსახურების ბიურო |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, ჯანტურიას ქუჩა,№12 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 404389372 |
| სამართლებრივი ფორმა: | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 26/10/2010 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | საჯარო რეესტრი |
| საგადასახადო ინსპექცია: | თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა |

**ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები**

- 01009004035, დავით კაკაურიძე, დირექტორი, ,

**პარტნიორები**

| | წილი | ანგარიშის ნომერი |
|---|---|---|
| ., სახელმწიფო, | 100.0000000% | 404389372-SH-00001 |

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:**

**რეგისტრირებული არ არის**

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 10959
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10005556
ამონაწერის მომზადების თარიღი: 28/01/2010 20:23:42

---

**სუბიექტი**

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | შპს საქმილსადენმშენი |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, ქ.წყალტუბოში, ქუთაისის 4 |
| ფაქტორბრივი მისამართი: | |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 221267064 |
| სამართლებრივი ფორმა: | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 30/08/1996 |
| სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: | 59/4-60 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | ქ.წყალტუბის სასამართლო |
| საგადასახადო ინსპექცია: | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი |

---

**პროკურისტები**

**სუბიექტი, ტიპი, შენიშვნა**

---

**პარტნიორები**

| მფლობელები | წილი | ანგარიშის ნომერი |
|---|---|---|
| 60001012253, ავთანდილი ლომთაძე, | 26.3700 | 221267064-SH-00001 |
| 60001042867, მერაბი ხელაძე, | 21.2800 | 221267064-SH-00002 |
| 60001012659, ამბერკი ნიქაბაძე, | 19.6600 | 221267064-SH-00003 |
| 01019022378, ვიტალი მჭედლიშვილი, | 2.0600 | 221267064-SH-00004 |
| 53001025239, გიორგი ცნობილაძე, | 0.8600 | 221267064-SH-00005 |
| 60001087412, შოთა კიკოლიაშვილი, | 1.3700 | 221267064-SH-00006 |
| 60001092757, ნარგიზა ბაბუნაშვილი, | 0.6900 | 221267064-SH-00007 |
| 60001011625, დავითი ბანძელაძე, | 1.0400 | 221267064-SH-00008 |
| 53001038661, მამუკა გურეშიძე, | 2.0600 | 221267064-SH-00009 |
| 60001026928, თამარი მოსიძე, | 0.5300 | 221267064-SH-00010 |
| 53001036565, ამირან გელენიძე, | 2.0600 | 221267064-SH-00011 |
| 57001031233, როინ ხარაზიშვილი, | 1.5300 | 221267064-SH-00012 |
| 60001095455, არჩილ ლაცაბიძე, | 0.5300 | 221267064-SH-00014 |

| | | |
|---|---|---|
| 53001042105, დავითი ჩიხლაძე, | 2.0600 | 221267064-SH-00015 |
| 60001091184, რომანი კაკაურიძე, | 2.0600 | 221267064-SH-00016 |
| 53001050049, გრიგოლ ნიშნიანიძე, | 3.4600 | 221267064-SH-00017 |
| 60002008108, კუკური დარსაძე, | 1.0400 | 221267064-SH-00018 |
| 09001006434, ონისე თედორაძე, | 1.7200 | 221267064-SH-00019 |
| 60003006612, რომანოზ პაპავა, | 2.0600 | 221267064-SH-00021 |
| 60001032579, სერგო კლარჯეიშილი, | 0.6900 | 221267064-SH-00022 |
| 56001013128, გიორგი გოგნაძე, | 0.3400 | 221267064-SH-00023 |
| 60001087501, გიორგი გოქაძე, | 0.4300 | 221267064-SH-00024 |
| 60001020889, მერაბი ღვინჯილია, | 0.4300 | 221267064-SH-00025 |
| 35001089285, ეთერ გელაშვილი, | 0.5800 | 221267064-SH-00026 |
| 60001087764, ჯუმბერი ხაჩიძე, | 1.5300 | 221267064-SH-00027 |
| 60001024474, ნაზი ჩორგოლაშვილი, | 0.6900 | 221267064-SH-00028 |
| 57001014130, გიორგი გელაშვილი, | 1.0400 | 221267064-SH-00029 |
| 09001004355, მერაბ სირბილაძე, | 0.6900 | 221267064-SH-00030 |
| 57001038240, მანანა გელაშვილი-ახალკაცი, | 0.5700 | 221267064-SH-00031 |
| 43001021754, მარინე ნაყიშაშვილი, | 0.5700 | 221267064-SH-00032 |

დირექტორები

სუბიექტი, თანამდებობა, მმართველობის ტიპი, შენიშვნა

- 60001012253, ავთანდილი ლომთაძე,
  ხელმძღვანელი, ერთპიროვნულად,

ყადაღა/აკრძალვა: რეგისტრირებული არ არის
საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის / პარტნიორის წილზე გირავნობის უფლებადავითი ბანძელაძის ს/ნ 112726738 პ/ნ 60001011625 საგანი: მთელი ქონება.
გადაწყვეტილების # / თარიღი 0303008517/3 :: 01 ნოე 2006. საფუძველი:
შეტყობინება, N4610, 01.11.2006, ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია.

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურის ნებისმიერ ფილიალში.

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან

| | |
|---|---|
| განაცხადის ნომერი: | 9133 |
| განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: | B10004042 |
| ამონაწერის მომზადების თარიღი: | 16/01/2010 13:22:46 |

---

**სუბიექტი**

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | ტუოვი |
| იურიდიული მისამართი: | ბათუმი/ვაჟა-ფშაველას №7 ბ.2 |
| ფაქტობრივი მისამართი: | |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 245537085 |
| სამართლებრივი ფორმა: | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 01/09/2006 |
| სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: | 01/04-2192 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | ბათუმის საოლქო საგადასახადო ინსპექცია |
| საგადასახადო ინსპექცია: | ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგ-დო ინსპექცია) |

---

**პროკურისტები**

**სუბიექტი, ტიპი, შენიშვნა**

---

**პარტნიორები**

| **მფლობელები** | **წილი** | **ანგარიშის ნომერი** |
|---|---|---|
| 61001032383, ვაჟა ტუსკია, | 50.0000 | 245537085-SH-00001 |
| 61001008550, ვლადიმერ ოვჩარენკო, | 50.0000 | 245537085-SH-00002 |

---

**დირექტორები**

**სუბიექტი, თანამდებობა, მმართველობის ტიპი, შენიშვნა**

- 61001008550, ვლადიმერ ოვჩარენკო,
  ხელმძღვანელი, ერთპიროვნულად,

---

ყადაღა/აკრძალვა: **რეგისტრირებული არ არის**

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის / პარტნიორის წილზე გირავნობის უფლება:

**რეგისტრირებული არ არის**

## დანართი#4

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ქუთაისის ფილიალი
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION KUTAISI BRANCH

[illegible]

№ ვ-06/171　　　　20 დეკემბერი 2011 წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება
( საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში მიმდინარე საქართველოს პარლამენტის მშენებლობის პროექტის და ხარჯთაღრიცხვის ასლები.

პატივისცემით,
ფილიალის თავმჯდომარე　　　　თამარ [illegible]

---

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

[illegible]

№ [illegible]/140-11　　　　[illegible] 201[illegible] წ.

[illegible]

განცხადება
(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებული შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

[illegible]

პატივისცემით,
თამარ ჩუგოშვილი
თავმჯდომარე

შემსრულებელი: [illegible]

---

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ქუთაისის ფილიალი
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION KUTAISI BRANCH

[illegible]

№ ვ-06/171　　　　19 ნოემბერი 2010 წ.

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერს
ბატონ გიორგი თევდორაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 10-ე, 28-ე, 37-ე და 40-ე მუხლების თანახმად გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

1. პარლამენტის შენობის ნებართვის ასლი
2. პარლამენტის შენობის პროექტის ასლი

პატივისცემით,
ფილიალის თავმჯდომარე　　　　ნინო [illegible]

---

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ქუთაისის ფილიალი
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION KUTAISI BRANCH

[illegible]

№ ვ-06/105　　　　25 იანვარი 2011 წ.

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერს
ბ-ნ გიორგი თევდორაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე, 37-ე, 38-ე, და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების ჩამუშაობის განსახორციელებლად ჩატარებული ტენდერის შესახებ (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დოკუმენტების დანართებითურთ).

პატივისცემით,
ფილიალის თავმჯდომარე　　　　თამარ [illegible]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ქუთაისის ფილიალი
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION KUTAISI BRANCH

№ გ-06/119 6 სექტემბერი 2011 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

გვაცნობოთ თუ არა სსიპ „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" 2010 და 2011 წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობისთვის და რა რაოდენობით. გთხოვთ მოგვაწოდოთ ბიუჯეტიდან თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

პატივისცემით,

ფილიალის თავმჯდომარე თამარ გვარულია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ქუთაისის ფილიალი
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION KUTAISI BRANCH

№ გ-06/33 09 მარტი 2011 წ.

სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორს
ბატონ ლაშა მაჭავარიანს

ბატონო ლაშა,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10-ე, 28-ე, 37-ე და მე-40-ე მუხლების თანახმად გთხოვთ,
1. მოგვცეთ ქალაქ ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის შენობის მშენებლობის პროექტის ასლი;
2. ამასთან, გთხოვთ, გვაცნობოთ 2009 წლის 9 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №915 განკარგულების შესრულების კონტროლის განხორციელების შესახებ და მოგვაწოდოთ შესაბამისი ანგარიშის ასლი.

პატივისცემით,
ფილიალის თავმჯდომარე თამარ გვარულია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ქუთაისის ფილიალი
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION KUTAISI BRANCH

№ გ-06/34 09 მარტი 2011 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრს,
ბატონ კახა ბაინდურაშვილს

ბატონო კახა,
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10-ე, 28-ე, 37-ე და მე-40-ე მუხლების თანახმად გთხოვთ,
1. მოგვცეთ ქალაქ ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის შენობის მშენებლობის პროექტის ასლი;
2. ამასთან, გთხოვთ, გვაცნობოთ 2009 წლის 9 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №915 განკარგულების შესრულების კონტროლის განხორციელების შესახებ და მოგვაწოდოთ შესაბამისი ანგარიშის ასლი.

პატივისცემით,
ფილიალის თავმჯდომარე თამარ გვარულია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ქუთაისის ფილიალი
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION KUTAISI BRANCH

№ გ-06/120 6 სექტემბერი 2011 წ.

სსიპ "სახელმწიფო მომსახურების ბიუროს"

დირექტორს ბ-ნ დავით კაკაურიძეს

ბატონო დავით,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე, 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, ასევე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 22 თებერვლის №460 განკარგულების საფუძველზე გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

1. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის ასლები;
2. რა ეტაპზეა ამჟამად ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობა?
3. რა რაოდენობის თანხაა ათვისებული სსიპ "სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ 2010 და 2011 წლის ბიუჯეტებიდან საქართველოს პარლამენტის მშენებლობისათვის?
4. როგორი ფორმით მოხდა მშენებელი კომპანიების შერჩევა, ტენდერის, თუ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით?
5. შერჩეულ კომპანიებთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების, ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებების ასლები;
6. თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის 2010 და 2011 წლის ბიუჯეტებიდან თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება აკისრია, არა მხოლოდ ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, არამედ აგრეთვე ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და იმ კერძო დაწესებულებებს, რომლებიც ბიუჯეტის საფუძველზე ახორციელებენ სახელმწიფო უფლებამოსილებას ან იღებენ ბიუჯეტის სახსრებს.

პატივისცემით,

ფილიალის თავმჯდომარე თამარ გვარულია

# დანართი#5

3-01/03
13.01.11

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერია
GEORGIA
Kutaisi Mayor`s office

3, Rustaveli av. 4600 Kutaisi, Georgia
Tel/Fax: (+995 331) 4-64-64, Fax: (+995 331) 4-69-62

№ 01-6737
[illegible] 01 201 წ

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის"
ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარეს
ქ-ნ ნინო [illegible]

ქალბატონო ნინო,

2010 წლის 19 ნოემბრის N01-6737 მიმართვის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია ქალაქ ქუთაისის მერიის აპარატში არ მოიძიება.

ქ. ქუთაისის მერიის აპარატის
უფროსი
თენგიზ თოფურიძე

---

05.08.11

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერია
GEORGIA
Kutaisi Mayor`s office

3, Rustaveli av. 4600 Kutaisi, Georgia
Tel/Fax: (+995 331) 4-64-64, Fax: (+995 331) 4-69-62

№ 01-3410
02 08 201 წ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარეს
ქალბატონ თამარ [illegible]

ქალბატონო თამარ,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გადმოგზავნილი თქვენი 2011 წლის 14 მარტის №გ-06/35 მიმართვასთან დაკავშირებით ქუთაისის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ პარლამენტის შენობის მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტის პროექტი ქ.ქუთაისის მერიის არქივში არ ინახება.

პატივისცემით,

თენგიზ თოფურიძე
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

---

28.03.11

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 04-03/4489 23 - მარტი 2011

თქვენი № ______

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის ქუთაისის ფილიალს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 31 იანვრის №გ-06/11 და 9 მარტის №გ-06/34 წერილები ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის თაობაზე და გაცნობებთ, რომ „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში განსაზღვრული „50 05", „50 06" და „50 08" ორგანიზაციული კოდებიდან თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში მიმდინარე საქართველოს პარლამენტის მშენებლობის დაფინანსებაზე თანხები გამოყოფილი არ არის.

ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ გააჩნია თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის შენობის მშენებლობის პროექტისა და მშენებლობის მიმდინარეობის შესრულების ანგარიში.

პაატა პეტრიაშვილი
მინისტრის პირველი მოადგილე

---

8-03/105-11
14.07.11

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

№ 08/14860 11 / ივლისი / 2011 წ.

ქ. ქუთაისის მერიას

[illegible]

[illegible]

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემოსულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2011 წლის 1 ივლისის №გ-04/147-11 წერილი, [illegible] ქ. ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, [illegible] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილს.

[illegible]

დანართი: 1 ფურცელი

[illegible] [illegible]

01-02/272
03 09 2011 წ.

მოქალაქე მაკა ცერცვაძეს

მცხოვრები ქ. ქუთაისი, [illegible] № 127

ქალბატონო მაკა,

2011 წლის 03 აგვისტოს № 272 განცხადების შესაბამისად გაცნობებთ რომ მოთხოვნილი ინფორმაციის მისაღებად მიმართოთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი [signature] მეგი ფურაძე

---

01-02/843
15 07 2011 წ.

მოქალაქე მაკა ცერცვაძეს

მცხოვრები ქ. ქუთაისი, [illegible] №127ა

ქალბატონო მაკა,

2011 წლის 13 ივლისის №243 13.07.11. წერილის შესაბამისად გაცნობებთ რომ მოთხოვნილი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი [signature] მეგი ფურაძე

---

21.03.11

01-03/186
16 03 2011 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარეს
ქალბატონ თამარ ფაჩულიას

ქალბატონო თამარ,

2011 წლის 09 მარტის №ც-06/33 წერილის შესაბამისად გაცნობებთ რომ საქართველოს პარლამენტის შენობის მშენებლობის პროექტის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სხვა უფლებამოსილ ორგანოებს.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი [signature] მეგი ფურაძე

---

7-12-11

01-03/1164
05 12 2011

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარეს
ქალბატონ თამარ ფაჩულიას

ქალბატონო თამარ,

2011 წლის 28 ნოემბრის №ც-06/151 წერილის შესაბამისად გაცნობებთ რომ მოთხოვნილი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი [signature] მეგი ფურაძე

საქართველო

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის

კეთილმოწყობის სამსახური

№ 12-1152
"06" 09 2011 წ.

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
ტელ: (8995 331) 4 10 70
e-mail: communal_department@yahoo.com

ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
უფროსის მ/შემსრულებელს
**ბატონ კახა ხვარეშიას**

მოქალაქე მაკა ცერცვაძის 2011 წლის 03 აგვისტოს №ც-6336 განცხადების შესაბამისად ჩვენი სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში წარმოგიდგენთ ქ.ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებს:

1. საქართველოს პარლამენტის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ დაიწყო და დამთავრდა 1220 ერთეული რკ.ბეტონის ხიმინჯის დაბეტონების სამუშაოები.

დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს რკ.ბეტონის მონოლითური ზედარკვლების დაბეტონება, საანგარიშო პერიოდში დაბეტონებულია მოცულობის 80%, პარალელურად დამთავრების სტადიაშია შენობის ზედა სართულის ლითონის ანაკრები კონსტრუქციების მონტაჟი. დღეის მდგომარეობით აღნიშნულ სამუშაოებზე შესრულებულია 69 მილიონი ლარის ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

2. საქართველოს პარლამენტის მშენებლობისათვის ბიუჯეტიდან თანხების ათვისების მონაცემების მოწოდება შეუძლია მერიის საფინანსო სამსახურს.

3. საქართველოს პარლამენტის მშენებლობას ანხორციელებს შპს"მენოინტერნეიშნლ"-ი.

მე-4 და მე-5 საკითხებზე ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების მოწოდება შეუძლია მერიის საფინანსო სამსახურს.

საქართველოს პარლამენტის მშენებლობის მიმდინარეობაზე საკრებულოს პერიოდულად მიეწოდება ინფორმაცია.

პატივისცემით,
**ანდრო მაღლაკელიძე**
სამსახურის უფროსი

ც-6336

მ-05/160-11
11.04.11

**საქართველოს პარლამენტი**

# საქართველოს პარლამენტის აპარატი

№ 5636/3-5

08 04 2011 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
თავმჯდომარეს თამარ ჩუგოშვილს

ქალბატონო თამარ,

თქვენი №7651 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტი არ წარმოადგენს ქ. ქუთაისში პარლამენტის შენობის მშენებლობის დამკვეთს და შესაბამისად, მონაწილეობა არ მიუღია აღნიშნული სამუშაოს შემსრულებლის გამოვლენასა და მშენებლობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში.

პატივისცემით,

საორგანიზაციო დეპარტამენტის
უფროსი ეთერ სვიანაიძე

საქართველო

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის
**საფინანსო სამსახური**
ქუთაისი 384000 რუსთაველის გამზ. №3
ტელეფონი 24-01-02
ფაქსი ( 8431) 24 - 01- 02
financial@kutaisi.gov.ge

GEORGIA

**The financial Service of Kutaisi City Hall**
Kutaisi 384000 Rustaveli str 3
T. 24-01-02
FAX ( 8431) 24 01 02
fnancial@kutaisi.gov.ge

ქალაქ ქუთაისის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს
ბატონ თენგიზ თოფურიძეს

ბატონო თენგიზ,

თქვენი წერილის №ც-6336/08.08.2011წ./პასუხად გაცნობებთ, რომ 2010-2011 წლის მანძილზე საქართველოს პარლამენტის მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან ათვისებული იქნა 73 465 641 ლარი. რაც შეეხება წერილში მოყვანილი სხვა ინფორმაციის მოწოდების შესაძლებლობას იგი ცილდება სამსახურის კომპედენციას.

პატივისცემით,
ტარიელ მაკარიძე
საბიუჯეტო დაგეგმვისა და ანალიზის
განყოფილების უფროსი
საფინანსო სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი